

პროფილირება

პროფილირება მონაცემთა ავტომატური დამუშავების ფორმას, რომელიც მოიცავს პიროვნების, მისი ქცევის, ჩვეულებისა და ინტერესების ანალიზსა და პროგნოზირებას. პროფილირება ფართოდ გამოიყენება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში ადამიანის შრომისუნარიანობის, მსყიდველუნარიანობის და გადახდისუნარიანობის, სანდოობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, გადაადგილების, განწყობებისა და ინტერესების ანალიზის ან/და პროგნოზირებისთვის.

პროფილირების და ხელოვნური ინტელექტ ტექნოლოგიების გამოყენებით ორგანიზაციები სისტემატურად აგროვებენ სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის ინტერნეტ საძიებო სისტემებიდან, სოციალური ქსელებიდან, ვიდეოსათვალთვალო კამერებიდან, ჭკვიანი ტელეფონებიდან მოპოვებულ მონაცემებს და საერთო მახასიათებლებით აჯგუფებენ ადამიანებს. ეს კი შესაძლებელს ხდის კონკრეტულ ჯგუფებზე მორგებული პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებას, მომხმარებელთა ქცევის განჭვრეტას ან მათ შესახებ ავტომატური გადაწყვეტილებების მიღებას. სწორედ პროფილირების მეშვეობით ხორციელდება თანამედროვე მარკეტინგი, საბანკო და სადაზღვევო მომსახურება, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, დასაქმება, საზღვრის კონტროლი, საარჩევნო კამპანიები და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაც კი.

თავისთავად პროფილირება სიანლეს არ წარმოადგენს, მომხმარებელთა დაჯგუფება მათი დემოგრაფიული მონაცემებით, სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობით თუ მათი ჩვეულებისა და ინტერესების მიხედვით დიდი ხანია მარკეტინგული საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების განვითარებამ, პროფილირების ბევრ დადებით მხარესთან ერთად, პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები და საფრთხეები უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა.

ამ თვალსაზრისით, მთავარ საფრთხეებს პროფილირების არაკანონიერი, არაეთიკური გამოყენება ან ტექნოლოგიის ალგორითმში არსებული ხარვეზი წარმოადგენს, რაც ადამიანების შესახებ უსამართლო გადაწყვეტილებების მიღების, მათი დისკრიმინაციის ან სტიგმატიზაციის შესაძლებლობას იძლევა. პროფილირების შედეგად შესაძლებელია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებისა და სოციალური სეგრეგაციის გაღრმავება, მანიპულაცია და ადამიანისთვის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვა.

მაგალითისთვის, როიტერის ცნობით 2015 წელს „amazon“-მა გამოავლინა ხარვეზი ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული დასაქმების მსურველთა დოკუმენტაციის გადარჩევის პროგრამაში, რომელიც კანდიდატთა შეფასებისას უპირატესობას ცალსახად მამაკაცებს ანიჭებდა¹. საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ამომრჩეველთა პროფილირება კიდევ ერთი აქტუალური საკითხია, რომელიც Facebook-თან და კემბრიჯ-

¹ <https://www.reuters.com/article/us-amazon-com-jobs-automation-insight-idUSKCN1MK08G>

ანალიტიკასთან დაკავშირებულმა სკანდალმა² რამდენიმე ქვეყანაში პარალელური გამოძიებისა და დებატების საგანი გახდა.

პროფილირება არც საქართველოსთვისაა უცხო. მაგალითისთვის საქართველოში მოქმედებს საკრედიტო ქულების სისტემა, რომლის საფუძველზეც ფასდება პირის მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკები. რაც უფრო მაღალია ქულა, მით მცირეა პიროვნების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა³ და შესაბამისად, პირი უკეთესი საბანკო მომსახურების პირობებით სარგებლობს. 2017-2018 წლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დგინდება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ფინანსური დაწესებულებების მიერ პირის საკრედიტო ისტორიასა და ქულაზე ხშირად წვდომის ფაქტები იწვევდა საკრედიტო ქულის შემცირებას, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ინსტიტუტები საკრედიტო ისტორიაზე წვდომას ხშირად პირის თანხმობისა და ნების გარეშე ახორციელებდნენ კლიენტების მოძიებისა ან მათთვის ახალი პროდუქტების შეთავაზების მიზნით. ალგორითმი არ ითვალისწინებდა მონაცემებზე კანონიერი და უკანონო წვდომის იდენტიფიცირებისა და გამიჯვნის შესაძლებლობას. მონაცემებზე არაკანონიერი წვდომის შედეგად საკრედიტო ქულაზე ნეგატიური გავლენის აღმოფხვრა ათუელობით მოქალაქემ ინსპექტორის დახმარებით შეძლო, თუმცა ბევრმა მოქალაქემ შეიძლება დღემდე არც იცის რა გახდა მათთვის საბანკო პროდუქტებზე უარის თქმის ან პირობების გაუარესების მიზეზი და როგორ შეეძლოთ საკრედიტო ქულის გასწორების მოთხოვნა.

კიდევ ერთი სფერო, სადაც პროფილირება ფართოდ გამოიყენება პირდაპირი მარკეტინგია. მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს სახელის, გვარისა და საკონტაქტო ინფორმაციის გარდა სხვა მონაცემების სარეკლამო მოკლე ტექსტური და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების მიზნით გამოყენებას პირის თანხმობის გარეშე, იმ კომპანიების სარეკლამო შემოთავაზებებს, რომელთანაც მანამდე არანაირი შეხება არ ჰქონიათ, მოქალაქეები ხშირად სწორედ პროფილირების შედეგად იღებენ. საქართველოში პროფილირება ასევე ხორციელდება სადაზღვევო, ჯანდაცვისა და საგადასახადო სექტორებშიც, თუმცა დეტალური ინფორმაცია ამ და სხვა სექტორებში პროფილირების პრაქტიკასთან დაკავშირებით ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პროფილირებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რეგულაციებს. მართალია პროფილირებაზე, როგორც მონაცემთა დამუშავების ავტომატურ ფორმაზე ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპები, უსაფრთხოების ზომები და სხვა რეგულაციები, თუმცა ზოგადი წესები პროფილირების მანკიერი გამოყენების პრევენციისთვის ნამდვილად არ არის საკმარისი. ამ ტიპის მონაცემთა დამუშავებისგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით ევროსაბჭომ და ევროკავშირმა აუცილებლად მიიჩნიეს ადამიანის შესახებ ავტომატური გადაწყვეტილებების მიღებასა და პროფილირებაზე გარკვეული შეზღუდვების

² <https://www.amnesty.org/en/latest/news/2019/07/the-great-hack-facebook-cambridge-analytica/>

³ <https://ge.creditinfo.com/ka-products/ka-scoring-report/>

დაწესება. ევროპის საბჭოს მოდერნიზებულმა კონვენციამ⁴ და ოქროს სტანდარტად წოდებულმა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადმა რეგულაციამ (GDPR) განსაზღვრეს ადამიანის უფლება, არ დაექვემდებაროს მხოლოდ მონაცემთა ავტომატური დამუშავების საფუძველზე, მისი პიროვნული მახასიათებლების შეფასების შედეგად მიღებულ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ შედეგს ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს ეფუძნება პირის მკაფიოდ გამოხატულ თანხმობას, აუცილებელია პირთან ხელშეკრულების დასადავად ან შესასრულებლად, ან გათვალისწინებულია ევროკავშირის ან მისი წევრი სახელმწიფოს კანონით, რომელიც იქვე უნდა განსაზღვრავდეს პირის უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიებს.

ევროპული კანონმდებლობის თანახმად პროფილირებისთვის საჭირო მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები უნდა გამოირიცხავდეს მონაცემთა უზუსტობას და ამცირებდეს შეცდომებისა და ხარვეზების რისკებს. დაუშვებელია პროფილირება იწვევდეს დისკრიმინაციას რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის, პროფესიული კავშირის წევრობის, გენეტიკური ან ჯანმრთელობის სტატუსის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. ადამიანს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ავტომატური გადაწყვეტილების მიღებისა და პროფილირების ლოგიკის, კრიტერიუმების, საჭიროებისა და შესაძლო შედეგების შესახებ. მას ასევე აქვს უფლება, მოითხოვოს ადამიანური რესურსის ჩართულობით მის მიმართ გადაწყვეტილების მიღება და პროფილირების შეწყვეტა. პროფილირების განმახორციელებელი ორგანიზაცია კი ვალდებულია წინასწარ შეაფასოს ადამიანის უფლებებზე ავტომატური გადაწყვეტილებების მიღებისა და პროფილირების ზეგავლენა, უზრუნველყოს კანონიერების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, პროპორციულობის, მონაცემთა მინიმუზაციისა და სიზუსტის პრინციპების დაცვა. ასევე შექმნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანური რესურსის ჩართვის, დაინტერესებული პირის მიერ მოსაზრების გამოთქმისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობები და მექანიზმები. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა კი ევროკავშირში სერიოზულ ჯარიმებს ექვემდებარე და კომპანიებს შეიძლება 20 000 000 ევრომდე ან კომპანიის ბრუნვის 4%-მდე დაუჯდეთ.

ავტომატური გადაწყვეტილებების მიღებისა და პროფილირების პროცესებთან დაკავშირებით ევროკავშირში ერთგვაროვანი მიდგომების დამკვიდრების მიზნით მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს წინამორბედმა 29-ე სამუშაო ჯგუფმა, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონაცემთა დაცვის საზედამხებდველო ორგანოების გაერთიანებას წარმოადგენს, სპეციალური სახელმძღვანელო წესები შეიმუშავა⁵. სახელმძღვანელო წესები ხაზს უსვამს გამჭვირვალობის პრინციპის მნიშვნელობასა და ადამიანებისთვის პროფილირების შესახებ მარტივ და გასაგებ ენაზე ინფორმაციის

⁴ 1981 წლის კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ, რომლის მოდერნიზებაც მოხდა.

⁵ https://iapp.org/media/pdf/resource_center/W29-auto-decision_profiling_02-2018.pdf

მიწოდების აუცილებლობას, კონკრეტული მიზნებით მოპოვებული მონაცემების სხვა მიზნებით გამოყენების დაუშვებლობას, პროფილირების დროს მხოლოდ საჭირო და ზუსტი მონაცემების გამოყენების მნიშვნელობას, რელევანტური მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობას, ბავშვების მიმართ პროფილირების მხოლოდ გამონაკლისის სახით განხორციელებას, ალგორითმების ტესტირებისა და დამოუკიდებელი აუდიტის, ასევე მონაცემთა ანონიმიზაციის და დამიფვრის საჭიროებას. ევროპული საზედამხედველო ორგანოები წლებია უკვე პროფილირების კანონიერებას აფასებენ და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში არა მხოლოდ ფინანსურ სანქციებს აკისრებენ ორგანიზაციებს, არამედ კონკრეტულ დავალებებს აძლევენ სისტემური დარღვევების აღმოფხვრისა და საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროფილირებიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ევროპული მიდგომები დროულად აისახოს საქართველოს კანონმდებლობაში და სათანადო ზედამხედველობა განხორციელდეს საქართველოში როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მიერ პროფილირების ტექნოლოგიების გამოყენებაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში 2019 წელს ინიცირებული კანონპროექტი⁶ ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან მუხლს პროფილირებასთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობდა ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, პროფილირებასთან დაკავშირებული პროცესების მეტ გამჭვირვალობას და რისკების შემცირებას, ორგანიზაციების ანგარიშვალდებულებების გაზრდას, მოქალაქეთა უფლებრივ გაძლიერებას, და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსაც მეტ კომპეტენციას მიანიჭებდა საქართველოში პროფილირების ტექნოლოგიების დანერგვის პროცესის ეფექტიანი ზედამხედველობის თვალსაზრისით.

⁶ <https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>